ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 46

28 თებერვალი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელები- ნინო კვეტენაძე; გვანცა გრიგოლია

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე; ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილები (#11-01190583913;11-01190562088;11-01190514296) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“
2. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ 01.11.12.002.061) მდებარე 168,54 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-031905084-03)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრქუტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის #19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.12-031905089-03
4. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.(12-031905083)
5. ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.(12-031905087)
6. ქ.თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის / მათი

უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე. (12-03190576-03)

7. ყოველწლიურ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ. (12-031905731-03)
8. ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახ.-3, I მ/რ-ის კორპ.4ა-ში (საკ/კოდი:01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-031905297-03)
9. ქ.თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა#21-ში (საკ/კოდი: 01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(12-031905297-03)
10. ქ.თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მ/რ-ის კორპ.#25ა-ში (საკ/კოდი:01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-031905297-03)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა.

მოისმინეს: საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილები (#11-0119052088 25.02.2019წ; 11-01190583913 27.02.2019წ; 11-01190514296 20.02.2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“ .

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავამ დაწვრილებით ისაუბრა გამგეობებისა და საქალაქო სამსახურების მიერ მოთხოვნილ კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით მთაწმინდის რაიონის გამგეობის მოთხოვნით გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში (კოდი 01 01 17) 133 000 ლარის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან პირველ კვარტალში, პროგრამის წლიურ გეგმაში 300 000 ლარი გადმოდის მიმდინარე ტრანსფერების მუხლში, კაპიტალური ტრანსფერის მუხლიდან. გარდა ამისა კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში (კოდი 02 09 19) პირველი კვარტლის გეგმაში ხდება 59000 ლარის გადმოტანა მომდევნო კვარტლებიდან.

სამგორის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, „სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებების“ პროგრამაში (კოდი 06 02 18 14) პირველ კვარტალში ხდება 150 000 ლარის გადმოტანა მეორე და მესამე კვარტლებიდან.

გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში (კოდი 01 01 15) 295 760 ლარის გადმოტანა ხდება მესამე კვარტლიდან პირველ კვარტალში.

ნაძალადევის რაიონის გამგეობის მოთხონით „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში“(კოდი 01 01 08) 397700 ლარის გადმოტანა ხდება პირველ კვარტალში მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

გარდა ამისა წარმოდგენილია გამგეობების მიერ სხვადასხვა პროგრამებში მუხლობრივი ცვლილებები.

მუხლობრივ ცვლილებას ითხოვს თბილისის საკრებულო- 10000 ლარის გადატანა ხდება „საქონელი და მომსახურების მუხლიდან“ „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში.

ასევე წარმოდგენილია კეთილმოწყობის საქალაქო, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურების მოთხოვნები კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ცვლილება ხდება „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ (კოდი 10 25)პროგრამაში. პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 150 000 ლარით, მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმების შემცირების ხარჯზე.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები და ზოგიერთი საქალაქო სამსახური ითხოვს მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, სადაც ასევე სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) პირველი კვარტალი იზრდება 150 000 ლარით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) პირველი კვარტალი იზრდება 150 000 ლარით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა **ნინო კვეტენაძემ.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ 01.11.12.002.061) მდებარე 168,54 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით, ააიპ - „იას“ (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მ/რ-ში (ს/კ: #01.11.12.002.061) მდებარე შენობა-ნაგებობა #1-ის II სართულზე არსებული 445.21 კვ.მ. ფართიდან 157.55 კვ.მ. ფართი, ორი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, ორგანიზაციამ ელექტრონული განცხადებით ითხოვა ამ უძრავი ქონების იგივე სარგებლობის ფორმით გადაცემა, დაზუსტებული ფართობით (168.54 კვ.მ.), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ბავშვებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით.

მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრქუტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის #19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

თბილისის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე გამოცხადებულ პირობიან აუქციონში გაიმარჯვა სს „საქართველოს ბანკმა“ და 2017 წლის სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის. ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ბანკის ვალდებულებას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტროს სადგურში და ავტობუსების გაჩერებების მიმდებარედ, სატრანსპორტო ბარათის შევსების მქონე მინიმუმ 450 სწრაფი გადახდის აპარატის განთავსება. ამ ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს საქართველოს ბანკის ქვეკონტაქტორი კომპანია შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“. ვალდებულების შესასრულებლად, აპარატების

განთავსებისათვის, კომპანიამ წარმოადგინა 260 მიწის ნაკვეთი (თითოეული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1 კვმ) და ითხოვა მიწის ნაკვეთების საქართველოს ბანკისათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა. უსასყიდლო უზუფრუქტით სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდი. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში შესათანხმებლად.
საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების საკითხის დარეგულირების მიზნით , საქართველოს მთავრობის მიერ, თბილისის მუნიციპალიეტეტს ეთხოვა უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის ან მათი წარმომადგენლების/ან უფლებამონაცვლეებისთვის განსაზღვრული ან ალტერნატიული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაცემა, მათი მხრიდან მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამ ეტაპზე 17 პირს, რომლებიც არიან სხვადასხვა კოოპერატივის წევრები, გადაეცემათ საკუთრებაში ე.წ. „დირსში“ დასრულებული ბინები.
ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძალიან კარგი პროექტია , რომელიც წინა წლებშიც ხორციელდებოდა და კითხვით მიმართა ნინო კვეტენაძეს: „ ჩვენ ადრე „დირს“ გადავეცით მიწის ნაკვეთი, იმ პირობით რომ ასაშენებული ბინებიდან მუნიციპალიტეტს გადმოეცემოდა გარკვეული ფართები.ეს ის ფართებია? „
შეკითხვაზე ნინო კვეტენაძე განმარტა, რომ ეს არის დასრულებული ბინები, რომლებიც მუნიციპალიტეტს გადმოეცა საკუთრებაში, ხოლო რასაც შემდეგში „დირსი“ გადმოგვცემს, ეს არის შემდეგი ეტაპი.
ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ პროექტი მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი სიიდან ოჯახების უმრავლესობა სოციალურად დაუცველია, ერთის მხრივ ვაკმაყოფილებთ ადამიანებს ეტაპობრივად და ამავე დროს მოხდება მუნიციპალიტეტის ქონების დატვირთვაც.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.
მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

წარმოდგენილი პროექტით ხდება 42 სხვადასხვა კოოპერატივის წევრების (ოჯახების) დაკმაყოფილება.

კომისიის წევრები დაინტერესდნენ რა კრიტერიუმით მოხდა კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილება.

ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადი კრიტერიუმი, რაზედაც აქცენტი კეთდება ეს არის ტერიტორიული პრინციპი, სოციალურად დაუცველობა და არის საგამონაკლისო შემთხვევაც.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილ მთავრობის განკარგულების პროექტის (№19.52.98 23.01.219წ) დანართს ტექნიკური ხარვეზის გამო აკლია ბოლო ფურცელი, სადაც სიით გათვალისწინებული 42-ე პიროვნებაა. კომისიამ მოითხოვა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი იქნა სრულყოფილი მთავრობის განკარგულება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის / მათი უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

წარმოდგენილი პროექტით ხდება 93 ადამიანის დაკმაყოფილება. მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართით წარმოდგენილია სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში კოოპერატივების წევრებს საკუთრებაში გადაეცემათ მიწის ნაკვეთები, საერთო ჯამში 12223 კვმ.

კომისიის წევრების : ირაკლი ნადირაძის, ირაკლი ზარქუას შეკითხვებზე, გვანცა გრიგოლიამ და ნინო კვეტენაძემ აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში ინვესტორი არსებობს („აპექს დეველოპმენტი"), რომელთანაც ხელშეკრულებას დადებენ თვითონ კოოპერატივის წარმომადგენლები. ასევე აღნიშნეს, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით , სადაც გაწერილია ის კრიტერიუმები, რომლის გათვალისწინებითაც ხდება რიგითობის განსაზღვრა.

გარდა ამისა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ „კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან" დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვაზე, თუ რა კრიტერიუმით მოხდება გამარჯვებულის გამოვლენა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 6. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ყოველწლიურ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ აუქციონის გამოცხადების მიზანია, დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ელექტროსატრანსპორტო საშუალებების, როგორც,

ეკოლოგიურად უვნებელი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მთავრობის განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი თითოეული მიწის ნაკვეთით სარგებლობის ყოველწლიური საბაზრო საიჯარო ღირებულება შეფასებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, რომლის თანახმადაც თითოეული მიწის ნაკვეთის ყოველწლიური საბაზრო საიჯარო ღირებულება შეადგენს 300 (სამას) ლარს.

ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუქციონი ცხადდება თითოეული მიწის ნაკვეთის წლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობით. წლიური საიჯარო ქირის საწყისი საფასური შეადგენს, სიმბოლურად, 1 (ერთ) ლარს.

ირაკლი ნადირაძის შეკითხვაზე, ნინო გვენეტაძემ განმარტა, რომ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 10 წელი, ხოლო თითოეული მიწის ნაკვეთის ფართობი - 1 კვ. მ. ასევე აღინიშნა, რომ ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსებისა და შესაბამისი სერვისის მიწოდების დაწყებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში, მოიჯარე უსასყიდლოდ უნდა მოემსახუროს მომხმარებელს. ერთი წლის შემდეგ, კომპანია თავად განსაზღვრავს მომსახურების ტარიფს. პროექტის თანახმად, აუქციონი წარიმართება ერთ ლოტად. ხოლო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ბე შეადგენს 600 ლარს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე -5; ირაკლი ნადაირაძემ თავი შეიკავა; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახ.-3, I მ/რ-ის კორპ.4ა-ში (საკ/კოდი:01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სამგორის რაიონის გამგეობა შუამდგომლობს მათე ლალიაშვილს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში. მოქალაქეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 85,71 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე -6; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა#21-ში (საკ/კოდი: 01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მათე აბრამიშვილს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახი, დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში და აქვს სარეიტინგო ქულა(1000 ქულა), გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებელი ფართი. გამგეობის შუამდგომლობის წერილში აღნიშნულია, რომ ოჯახი ამ მისამართზე ცხოვრობს 2001 წლიდან და ფლობს 54,50 კვმ საცხოვრებელ ფართს.

მომხრე -6; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მ/რ-ის კორპ.#25ა-ში (საკ/კოდი:01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

დავით დავითაშვილი გამგეობის წერილობითი ინფორმაციით აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან. ცხოვრების ფაქტს წერილობით ადასტურებს შსს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის დეპარტამენტი. მოქალაქეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 60,50 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე -6; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა